საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 2 (65) 7 ივნისი 1955 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ მწრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ.

2. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.

3. ბრძანებულება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში.

5. შრომის საქმეთა განხილვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ახლად არჩეული ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები ჩატარებულ იქნა ორგანიზებულად და მაღალ იდეურო-პოლიტიკურ დონეზე. საბჭოების ხელმძღვანელთა შემადგენლობაში არჩეული არიან საქმის მცოდნე და პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებული მოწინავე ადამიანები ნუშებიდან, კოლმეურნეებიდან და საბჭოთა ინტელიგენციიდან. სესიებზე ყველგან ცნობილი იქნა არჩეული დეპუტატების რწმუნება, არჩეული იყო საბჭოების აღმასკომები, მუდმივი კომისიები, დამტკიცებულ იქნა აღმასკომების სამმართველოები, განყოფილებები, სამმართველოების უფროსები და განყოფილებების გამგეები.

მიუხედავად იმისა, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიები ჩატარდა ორგანიზებულად, ზოგიერთი საბჭოს სესიაზე დაშვებული იქნა საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცალკეული მუხლების დარღვევები. თბილისის საქალაქო, 26 კომისრის, კიროვის საბელობის და თერჯოლის რაიონული საბჭოების სესიებზე არ იყო დამტკიცებული აღმასკომების სამმართველოები და განყოფილებები, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 და 104 მუხლები.

ტყიბულის, წალკის, ასპინძის, გეგეჭკორის, გურჯაანის, კაპრეთის და სხვა რაიონების საბჭოების სესიებზე დამტკიცებული იყო აღმასკომების ფაკულტატიური განყოფილებები—კოლმეურნეობებში მშენებლობის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების, გადასახლება-დასახლების და მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების განყოფილებები, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული აღრიცხვის ინსპექტორი, რომლების შექმნაც საქართველოს სსრ კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული.

ზოგიერთი რაიონის საბჭოს სესიაზე მუდმივი კომისიების შექმნისას არ არის გათვალისწინებული რაიონის თავისებურებანი და არ არის შექმნილი სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მუდმივი კომისიები.

თეთრიწყაროს რაიონული საბჭოს სესიაზე შექმნილია მხოლოდ 3 მუდმივი კომისია, რომელშიაც გაერთიანებულია 7 ძირითადი დარგი. მეცხოველეობის რაიონებში—წალკის, დმანისის, ბოგდანოვკის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის და სხვა რაისაბჭოებთან არ არის შექმნილი მეცხოველეობის მუდმივი კომისიები.

გარდაბნის, სამტრედიის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის და დუშეთის რაიონული საბჭოების მუდმივ კომისიებში ჩაბმული არ არის მნიშვნელოვანი რიცხვი დეპუტატებისა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო, გორის საქალაქო, თიანეთის, ლანჩხუთის, ბორჯომის, ყვარლის, ბოგდანოვკის, თერჯოლის და ყაზბეგის რაიონული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების სესიებზე მუდმივი კომისიების შექმნისას, დამტკიცებულია ამ კომისიების თავმჯდომარეებიც, რომელთა არჩევა მუდმივი კომისიების დებულების თანახმად ხდება თვით კომისიების სხდომებზე. ყვარლის რაიონული საბჭოს სესიაზე დამტკიცებული იქნა, აგრეთვე, მუდმივ კომისიებში გასაერთიანებელი აქტივი 48 კაცის შემადგენლობით, რაც ეწინააღმდეგება მუდმივი კომისიების დებულების მოთხოვნას.

ითვალისწინებს რა ამოცანებს, რომლებიც დგანან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების წინაშე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის განვითარების დარგში, აგრეთვე იმ ამოცანებს, რომლებიც დაადგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანრის პლენუმმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაეავალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) წარმართონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში დასახულ ამოცანათა განხორციელება და იმ ღონისძიებათა შესრულება, რომლებიც დაყენებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების მიერ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მესაქონლეობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში;

ბ) რეგულარულად მოისმინონ ამომრჩეველთა კრებებზე აღმასკომების მოხსენებები, დეპუტატების ანგარიშები თავიანთი და საბჭოების მუშაობის შესახებ, განუმარტონ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებები და ჩააბან ისინი საბჭოების მუშაობაში;

გ) შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების განსახორციელებლად, გაითვალისწინონ ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

დ) უზრუნველყონ სესიების რეგულარულად მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე ჩატარება, აამაღლონ დეპუტატების აქტივობა საკითხების განხილვაში და ფართოდ გაშლილ კრიტიკის და თვითკრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის საფუძველზე, მკვეთრად გაუმჯობესონ საბჭოების მუშაობა;

ე) გააძლიერონ რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა და მათი მოღვაწეობა წარმართონ საბჭოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, სესიების ორგანიზაციის, მასალების მომზადების, საბჭოების და აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულების და მუდმივი კომისიების მუშაობაში საბჭოს ფართო აქტივის ჩაბმისათვის;

ვ) პრაქტიკულად განახორციელონ საბჭოთა დემოკრატიული პრინციპები, უზრუნველყონ არჩევნების დებულებების მოთხოვნების დაცვა, დროულად ჩაატარონ არჩევნები ცალკეულ საარჩევნო ოლქებში გასულ დეპუტატების ნაცვლად და არ დაუშვან საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკების შეცვლა არადეპუტატებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ) ჩაატარონ სისტემატური მუშაობა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებთან და მდივნებთან მათი პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პერიოდულად ჩაატარონ საუბრები და სემინარები საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე;

თ) დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების მიზნით დაეევალოს ამ დადგენილებაში ჩამოთვლილ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საბჭოების მორიგ სესიებზე დაამტკიცონ აღმასკომების სამმართველოები და განაყოფილებები, აგრეთვე შექმნან სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით მუდმივი კომისიები და უზრუნველყონ ამ კომისიებში ყველა დეპუტატის ჩაბმა;

ი) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საბჭოთა აპარატის მუშაკების მიმართ, აამაღლონ მათი სიფხიზლე, გაანიერონ ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლა და ყოველმხრივ განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დისციპლინა.

2. დაეევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას ჩაატაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირი და აღმოუჩინოს აღმასკომებს პრაქტიკული დახმარება ორგანიზაციურ მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტაიშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 16 აპრილი.

2. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცებულ იქნას „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

რედაქტორი—როსტაიშვილი სერგი საბას-ძე;

რედაქტორის მოადგილე—მელითაური გიორგი გიორგის-ძე;

სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი—ჩიქვინიძე ეთერი მიხეილის ასული;

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ქუჩუკაშვილი ვლადიმერ ანდრიას-ძე;

ჩიქვანაია ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტაიშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 16 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბრძანებულება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

მხატვრული თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. მახარაძის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
2. ამბროლაურის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
3. ჩხოროწყუს რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
4. ყაზბეგის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
5. ორჯონიკიძის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
6. ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი და მომღერალთა გუნდი
7. საგარეჯოს რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი
1955 წ. 20 მაისი.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში

მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბაშიძე ივანე ლევანის-ძე — ორჯონიკიძის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი
2. გაბიჩვაძე რევაზ კონდრატის-ძე — კომპოზიტორი
3. გალაევი ბორის ალექსანდრეს-ძე — ქ. სტალინირის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონსულტანტი
4. დარახველიძე გიორგი ვიქტორის-ძე — ქორეოგრაფი, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივის ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ჯიჯეიშვილი ალექსანდრე ქრისტეფორეს-ძე — ქ. ბათუმის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი
1955 წ. 20 მაისი.

5. შრომის საქმეთა განხილვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. მ. ყ. ლომაძის მოხსენება სახალხო სასამართლოებში შრომის საქმეების განხილვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სახალხო სასამართლოები შრომის საქმეებს ძირითადად შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სწყვეტენ, მაგრამ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი კანონის სერიოზული ხასიათის დარღვევებს.

ირღვევა შრომის საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადები: 1954 წლის განმავლობაში არსებითად დამთავრებულ 5.482 შრომის საქმიდან კანონით დაწესებული ხუთდღიანი ვადის დარღვევით განხილულია 2.086 საქმე, თბილისის კალინინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლოში შემოწმებული 30 საქმიდან ვადის დარღვევით განხილულია—15, სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლოში შემოწმებული 35 საქმიდან—21 და მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოში შემოწმებული 57 საქმიდან—35 საქმე. ქუთაისის პირველსა და მეორე უბნის სახალხო სასამართლოებში მოქ. ნ. ა. სახამბერიძის შრომის საქმის განხილვა გაჭიანურდა 33 თვის განმავლობაში, თბილისის კალინინის მესამე უბნის სახალხო სასამართლოში მოქ. ფ. მ. ბოიჩენკოს სამუშაოზე აღდგენის საქმის განხილვა გაგრძელდა ცხრა თვე. მზგავს ფაქტებს ადგილი აქვს აგრეთვე ქ. თბილისის სტალინის რაიონის II უბნის, მოლოტოვის რაიონის I უბნის და ქ. გორის სახალხო სასამართლოებში.

1954 წელში საკასაციო წესით გასაჩივრებულ 941 საქმიდან გადაწყვეტილება გაუქმებულია 263 საქმეზე, რაც მოწმობს იმას, რომ სასამართლოები შრომის საქმეების განხილვის დროს უშვებენ შეცდომებს და რიგ შემთხვევებში გამოაქვთ კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები.

1954 წლის განმავლობაში სახალხო სასამართლოებში განხილულ 5.482 შრომის საქმიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია 4.074 საქმეზე, აქედან სამუშაოზე აღდგენის შესახებ 1.254 საქმიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია 764 საქმეზე, მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ ხშირ შემთხვევებში სახელმწიფო საწარმოების და დაწესებულებების ხელმძღვანელები უმართებულოდ ახდენენ მშრომელთა სამუშაოდან დათხოვნას და ამით უხეშად არღვევენ შრომის კანონმდებლობას, თავის მხრივ სასამართლოები ურიგდებიან ამ მდგომარეობას და არ აძლევენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში შრომის კანონმდებლობის დამრღვევ თანამდებობის პირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი აქვს სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების დაუშვებელი გაჭიანურების ფაქტებს, არის შემთხვევები, როდესაც თვეობით არ სრულდება სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ პროკურატურა სუსტად ახორციელებენ ზედამხედველობას სახალხო სასამართლოების მუშაობაზე და არ ღებულობენ საჭირო ზომებს სასამართლოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და შრომის კანონმდებლობის განუხრელად გატარებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები და პროფესიული კავშირების ადგილობრივი ორგანოები არ ამოწმებენ საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის კანონთა დაცვის საკითხებს და არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს (ამხ. მ. ლომიძე) მიიღოს გადამჭრელი ზომები სასამართლოების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) უზრუნველყოს სახალხო სასამართლოებში შრომის საქმეების კანონთა დადგენილ ვადაში განხილვა;

ბ) შრომის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების მიზნით, პერიოდულად მოაწყოს სახალხო მოსამართლეების სემინარები შრომის სამართლის საკითხებზე;

გ) მიიღოს ზომები ყველა იმ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენისათვის, რომელთა მიმართაც არსებობენ სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებანი;

დ) მიმდინარე წლის ბოლომდე მოამზადოს გამოსაცემად შრომის კანონთა კოდექსი ქართულ ენაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს (ამხ. ი. დოლიძე) გააძლიეროს ზედამხედველობა შრომის საქმეთა განხილვაზე, უზრუნველყოს სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომათა გასწორება და სახალხო სასამართლოებისათვის შრომის კანონთა შესაბამისი მითითებების მიცემა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურორს (ამხ. მ. თოფურიძე), გაუმჯობესოს ზედამხედველობა შრომის საქმეთა კანონიერად გადაწყვეტაზე და მიიღოს ზომები წარმოება-დაწესებულებების იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ საბჭოთა შრომის კანონმდებლობას.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად ჩაატარონ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების თანამბრძანი შრომის კანონმდებლობის სწორად გატარების შესახებ.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მ. მ. ლეფსშვილის წინაშე, რათა მან დაავალოს პროფკავშირების ადგილობრივ ორგანოებს აქტიურად ჩაერიონ შრომის საქმეთა განხილვაში და შემდეგში აღკვეთონ სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ მოხსნისა და შრომის ხელფასის ანაზღაურების დარღვევის ფაქტები.

6. დაევალოს სამინისტროების და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს მტკიცედ დაიცვან საბჭოთა შრომის კანონმდებლობა და უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყონ შრომის საქმეებზე სასამართლების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შეუფერხებლად შესრულება.

7. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს (ამხ. მ. ლომიძე) წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ 1955 წლის დეკემბერში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტაიშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 30 მაისი.